ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი		საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში: 1. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ 2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 3. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
1	**მოქმედების სფერო და განმარტებები** წინამდებარე დირექტივის მიზანია სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის ცალკეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებლთა დაცვის ერთიანი მინიმალური დონე შიდა ბაზრის კონტექსტში.				ას	

1.2	a) მომხმარებელი: ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც წინამდებარე დირექტივით განსაზღვრულ ხელშეკრულებებში მოქმედებს იმ მიზნებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება მის სავაჭრო საქმიანობას, ბიზნესსა თუ პროფესიას.	1	4	ზ) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს პროდუქტს, უპირატესად, პირადი ან საყოფაცხოვრებო მოხმარების და არა სავაჭრო სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით.	სშ	
1.2	b)სამომხმარებლო საქონელი: ნიშნავს ნებისმიერ მატერიალურ მოძრავ ნივთს, გარდა: – აღსრულების გზით, ან სხვაგვარად კანონის ძალით გაყიდული საქონლისა, – წყლისა და გაზისა, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით, ან დადგენილი რაოდენობით, – ელექტროენერგიისა.	1	4	თ) პროდუქტი - ნებისმიერი მომსახურება ან მოძრავი ნივთი, ასევე, მასში განთავსებული და/ან ელექტრონული ფორმით გავრცელებული ქონებრივი სიკეთე;	ნშ	კანონპროექტი შედგება რამოდენიმე დირექტივისგან, რომლებიც გამონაკლისებს არ ითვალისწინებს. ამიტომ პროდუქტიდან გაზი, დენი და წყალი არ არის გამონაკლისი კანონპროექტის მიზნებისთვის.
1.2	c) გამყიდველი: ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც, ხელშეკრულების საფუძველზე, ყიდის სამომხმარებლო საქონელს საკუთარი ვაჭრობის, ბიზნესის ან პროფესიის ფარგლებში.	1	4	ვ) მოვაჭრე - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ასევე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს	სშ	

				მოვაჭრის სახელით ან დავალებით;		
1.2	d) მწარმოებელი: ნიშნავს სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელს, ევროგაერთიანების ტერიტორიაზე სამომხმარებლო საქონლის იმპორტიორს, ან ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევა მწარმოებლად საკუთარი სახელის, სასაქონლო ნიშნის ან სხვა განმასხვავებელი ნიშნის სამომხმარებლო საქონელზე განთავსების გზით;	2 3	1011.2 4	მწარმოებლად მიიჩნევა პირი, რომელმაც აწარმოვა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად მიიჩნევა ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი. *მწარმოებელი:* ა) დასრულებული პროდუქტის, ნედლი მასალის ან პროდუქტის შემადგენელი ნაწილის მწარმოებელი, პროდუქტის გადამკეთებელი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომლის სახელი, სავაჭრო ან სხვა განმასხვავებელი ნიშანი განთავსებულია პროდუქტზე და რომელიც თავს ამ პროდუქტის მწარმოებლად წარმოადგენს; ბ) უცხოელი დამამზადებლის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი, ან/და პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელი, თუ უცხოელ დამამზადებელს საქართველოში არ ჰყავს წარმომადგენელი; გ) პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში	ნშ	ქართული კანონმდებლობა მწარმოებლად არ მოიზარებს სამომხმარებლო პროდუქტების იმპორტიორს.

				პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და რომლის საქმიანობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.		
1.2	e) გარანტია: ნიშნავს მომხმარებლის წინაშე, დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე, გამყიდველის ან მწარმოებლის მიერ აღებულ ვალდებულებას, აანაზღაუროს გადახდილი საფასური, ან შეცვალოს, შეაკეთოს ან დაამუშაოს სამომხმარებლო საქონელი ნებისმიერი მეთოდით, თუ იგი არ აკმაყოფილებს საგარანტიო განცხადებაში ან შესაბამის რეკლამაში მითითებულ მახასიათებლებს;	1	4	დ) კომერციული გარანტია - მოვაჭრის ან მწარმოებლის (გარანტიის გამცემის) მიერ კანონისმიერი გარანტიის გარდა მომხმარებლის სასარგებლოდ დამატებით და უსასყიდლოდ ნაკისრი ვალდებულებები;	სშ	
1.2	f) შეკეთება: ნიშნავს, შეუსაბამობის შემთხვევაში, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში მოყვანას.				**შ**	ტერმინის განმარტება არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.
1.3	წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია განსაზღვრონ, რომ ტერმინი „სამომხმარებლო საქონელი“ არ მოიცავდეს საჯარო აუქციონზე გაყიდულ მეორადი მოხმარების საქონელს, როდესაც მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა				ას	

	პირადად დაესწრონ გაყიდვის პროცესს.					
1.4	იმ სამომხმარებლო საქონლის მომარაგების შესახებ ხელშეკრულებები, რომლებიც უნდა დამზადდეს ან იწარმოოს , წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, ასევე, წარმოადგენენ ნასყიდობის ხელშეკრულებებს.				სშ	კანონპროექტის მიხედვით ხელშეკრულება მოიცავს როგორც პროდუქტის მიყიდვას, ასევე, მომსახურების გაწევასაც, ამიტომ მას ცალკე დაკონკრეტება აღარ დასჭირდება.
2.1	**ხელშეკრულებასთან შესაბამისობა** გამყიდველმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ნასყიდობის ხელშეკრულებასთან შესაბამისი საქონელი.	1	17.1	მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პირობების შესაბამისი საქონელი.	სშ	
2.2	სამომხმარებლო საქონელი ხელშეკრულებასთან შესაბამისია, თუ: (a) შეესაბამება გამყიდველის მიერ მოცემულ აღწერილობას და გააჩნია საქონლის ის თვისებები, რომელიც გამყიდველმა მომხმარებელს მიაწოდა ნიმუშის ან მოდელის სახით;	1	17.2	ივარაუდება, რომ საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისია, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) შეესაბამება მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ აღწერას და აქვს იგივე თვისებები, რაც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილ საქონლის ნიმუშს ჰქონდა;	სშ	

2.2	b) შეესაბამება ნებისმიერ კონკრეტულ მიზანს, რომლისთვისაც იგი მომხმარებელს სჭირდება და რომელიც მან გამყიდველს აცნობა ხელშეკრულების დადებისას და რომელსაც გამყიდველი დასთანხმდა;	1	17.2	გ) გამოსადეგია იმ მიზნისთვის, რომლის თაობაზეც მომხმარებელმა მოვაჭრეს ხელშეკრულების დადებისას აცნობა და მოვაჭრე დაეთანხმა;	სშ	
2.2	(c) შეესაბამება იმ მიზნებს, რომლებისთვისაც იმავე ტიპის საქონელი ჩვეულებრივ გამოიყენება;	1	17.2	ბ) ვარგისია იმგვარი სარგებლობისთვის, რომლისთვისაც ჩვეულებრივ გამოიყენება;	სშ	
2.2	(d) არის იმ ხარისხის და ფუნქციონირებს იმგვარად, რაც ნორმალურია იმავე ტიპის საქონლისთვის და რომელსაც მომხმარებელი გონივრულად ელის საქონლის ბუნებიდან გამომდინარე და გამყიდველის, მწარმოებლის ან მისი წარმომადგენელის მიერ საქონლის კონკრეტული თვისებების შესახებ რეკლამირებისას ან ეტიკეტირებისას გაკეთებული საჯარო განცხადების გათვალისწინებით.	1	17.2	დ) აქვს ის თვისებები და ფუნქციონირებს იმგვარად, როგორც ამ სახეობის საქონლისთვის არის დამახასიათებელი და რისი გონივრული მოლოდინიც მომხმარებელს შეიძლება ჰქონოდა საქონლის ბუნებიდან და იმ საჯარო განცხადებებიდან გამომდინარე, რაც გაკეთდა მოვაჭრის, მწარმოებლის, მისი წარმომადგენლის ან ბაზარზე განთავსებაზე პასუხისმგებელი სხვა პირის მიერ, მათ შორის რეკლამისა ან/და ეტიკეტის საშუალებით.	სშ	

2.3	ამ მუხლის მიზნებისთვის, შეუსაბამობა ითვლება არარსებულად, თუ ხელშეკრულების დადებისას , მომხმარებელმა იცოდა, ან არსებობს იმის გონივრული შესაძლებლობა, რომ შეიძლება სცოდნოდა შეუსაბამობის შესახებ, ან თუ შეუსაბამობა წარმოშობილია მომხმარებლის მიერ მოწოდებული მასალიდან.	1	17.4	ამ მუხლის მიზნებისთვის, საქონელი არ ჩაითვლება ნაკლის მქონედ, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, მომხმარებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ საქონელს ჰქონდა ნაკლი ან თუ ნაკლი განპირობებულია მომხმარებლის მიერ მიწოდებული მასალით.	სშ	
2.4	გამყიდველი არ უნდა იყოს შეზღუდული საჯარო განცხადებებით მე-2 პუნქტის (d) ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ იგი: – მიუთითებს, რომ მან არ იცოდა, ან გონივრულად ვერ ეცოდინებოდა აღნიშნული განცხადების შესახებ,	1	17.5	მოვაჭრეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა საქონლის შესახებ საჯარო განცხადებისთვის იმ შემთხვევაში თუ: ა) დაამტკიცებს, რომ არ იყო ან ვერ იქნებოდა ინფორმირებული განცხადების თაობაზე;	სშ	
2.4	– მიუთითებს, რომ ხელშეკრულების დადების დროისთვის, განცხადება შესწორდა ან	1	17.5	ბ) დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულების დადებამდე საქონლის შესახებ საჯარო განცხადებაში მოცემული ინფორმაცია შეიცვალა;	სშ	
2.4	– მიუთითებს, რომ განცხადებას ვერ ექნებოდა გავლენა სამომხმარებლო საქონელის შეძენის გადაწყვეტილებაზე.	1	17.5	გ) დაამტკიცებს, რომ განაცხადი ვერ მოახდენდა გავლენას, მომხმარებლის მიერ საქონლის შეძენაზე.	სშ	

2.5	სამომხმარებლო საქონლის არასწორი მონტაჟით გამოწვეული ნებისმიერი შეუსაბამობა მიიჩნევა სამომხმარებლო საქონლის შეუსაბამობის ექვივალენტურად, თუ მონტაჟი წარმოადგენს საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილს და თუ საქონელი დამონტაჟებულია გამყიდველის მიერ, ან მისი პასუხისმგებლობით. ეს წესი თანაბრად ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როცა პროდუქტი, რომელიც მომხმარებელმა უნდა დაამონტაჟოს, დამონტაჟებულია მომხმარებლის მიერ და მისი არასწორი მონტაჟი გამოწვეულია დამონტაჟების ინსტრუქციებში არსებული ხარვეზის გამო.	1	17.3	მოვაჭრის მიერ ან მისი პასუხისმგებლობით, საქონლის არასწორი დამონტაჟების შედეგად წარმოქმნილი ნაკლი უთანაბრდება ხელშეკრულების პირობებთან საქონლის შეუსაბამობას, თუ საქონლის მონტაჟი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ეს წესი, ასევე, ვრცელდება საქონელზე, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის მიერ ასაწყობად ან დასამონტაჟებლად და საქონელზე თანდართული ინსტრუქციის ნაკლოვანების გამო აწყობა ან მონტაჟი არასწორად განხორციელდა.	სშ	
3.1	**მომხმარებლის უფლებები** გამყიდველი პასუხისმგებელია მომხმარებლის წინაშე ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობს საქონლის მიწოდების დროს.	1 2	17.1 487	მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პირობების შესაბამისი საქონელი. გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი	სშ	

3.2	შეუსაბამობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს საქონლის შესაბამისობაში მოყვანა უსასყიდლოდ მისი მე-3 პუნქტის შესაბამისად შეკეთების ან შეცვლის გზით, ან მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად. საქონლის ფასის სათანადო შემცირება ან ხელშეკრულებიდან გასვლა.	1	18.1	თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა - საქონლის უსასყიდლოდ შეცვლა ან შეკეთება, ფასის შემცირება ან უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან.	სშ	
3.3	პირველ რიგში, მომხმარებელს შეუძლია გამყიდველს მოსთხოვოს საქონლის შეკეთება ან მისი შეცვლა, ორივე შემთხვევაში უსასყიდლოდ, თუ ეს შეუძლებელი, ან არათანაზომიერი არ არის.	1	18.2	საქონლის შეცვლა ან შეკეთება მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შეუძლებელია საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, ან მოითხოვს არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.	სშ	
3.3	შესაბამისობაში მოყვანის საშუალება მიიჩნევა არათანაზომიერად, თუ იგი გამყიდველს უწესებს ხარჯებს, რომლებიც, ალტერნატიულ საშუალებასთან შედარებით, არაგონივრულია გათვალისწინებულია რა:	1	18.8	იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არათანაზომიერი ან შეუსაბამოდ დიდია ხარჯი, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:	სშ	

3.3	– ღირებულება, რომელიც საქონელს შეიძლებოდაჰქონოდა, შეუსაბამობის არარსებობის შემთხვევაში,	1	18.8	ა) საქონლის ღირებულება ხელშეკრულების პირობებთან მისი შესაბამისობის შემთხვევაში;	სშ	
3.3	– შეუსაბამობის მნიშვნელოვნება, და	1	18.8	ბ) შეუსაბამობის ხარისხი;	სშ	
3.3	– შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული საშუალების განხორციელება, მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი დისკომფორტის შექმნის გარეშე.	1	18.8	გ) ნაკლის აღმოფხვრის ალტერნატიული შესაძლებლობა მომხმარებლისთვის შეფერხების შექმნის გარეშე;	სშ	
3.3	ნებისმიერი სახის შეკეთება ან ჩანაცვლება უნდა განხორციელდეს გონივრული ვადის ფარგლებში და მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი დისკომფორტის შექმნის გარეშე, საქონლის ხასიათისა და იმ მიზნების გათვალისწინებით, რომლებისთვისაც მომხმარებელმა საქონელი მოითხოვა	1	18.3	საქონლის შეკეთება ან შეცვლა უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში და იმგვარად, რომ მომხმარებელს არ შეექმნას მნიშვნელოვანი შეფერხება საქონლის ბუნებისა და მისი შეკეთების ან შეცვლის მოთხოვნისას იმ მიზნის მომხმარებლის იმ მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც შეიძინა საქონელი.	სშ	

3.4	მე-2 და მე-3 პუნქტებში მოცემული ტერმინი „უსასყიდლო“ გულისხმობს საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოსაყვანად აუცილებელ ხარჯებს, კერძოდ, საფოსტო, შრომით და მასალების ხარჯებს.	1	18.4	საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის გაწევას, რაც საჭიროა საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალის და მასალების ხარჯს.	სშ	
3.5	მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს ფასის შესაბამისი შემცირება, ან ხელშეკრულებიდან გასვლა : – თუ არ აქვს არც შეკეთების და არც შეცვლის მოთხოვნის უფლება, ან	1	18.5	მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე თუ: ა) საქონლის შეკეთება ან შეცვლა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეუძლებელია, ან;	სშ	
3.5	– თუ გამყიდველმა საქონელი არ მოიყვანა შესაბამისობაში გონივრული ვადის განმავლობაში, ან	1	18.5	ბ) მოვაჭრემ არ შეაკეთა ან არ შეცვალა საქონელი გონივრულ ვადაში და მომხმარებელმა შესრულების მიმართ ინტერესი დაკარგა, ან;	სშ	
3.5	– თუ გამყიდველმა საქონელი არ მოიყვანა შესაბამისობაში მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი დისკომფორტის შექმნის გარეშე.	1	18.5	გ) მოვაჭრის მიერ საქონლის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს შეუქმნის მნიშვნელოვან შეფერხებას.	სშ	
3.6	მომხმარებელს არ აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა თუ შეუსაბამობა მცირე მნიშვნელობისაა.	1	18.7	მოხმარებელს უფლება არა აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ საქონლის ნაკლი უმნიშვნელოა.	სშ	

		2	405.3	ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია: ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.		
4	**რეგრესის წესით ანაზღაურების უფლება** როდესაც საბოლოო გამყიდველი მომხმარებლის წინაშე პასუხისმგებელია მწარმოებლის, ხელშეკრულების იმავე ჯაჭვიდან წინა გამყიდველის, ან სხვა რომელიმე შუამავლის მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეულ შეუსაბამობაზე, საბოლოო გამყიდველს უფლება აქვს გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები იმ პირის ან პირების წინააღმდეგ, რომლებიც სახელშეკრულებო ჯაჭვში პასუხისმგებლები არიან. პასუხისმგებელი პირი, ან პირები, რომელთა წინააღმდეგაც საბოლოო გამყიდველს სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოიყენების უფლება აქვს, შესაბამის ქმედებებთან და გამოყენების პირობებთან ერთად, განისაზღვრება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.	2	704	თუ ამ თავის მიხედვით გადამზიდველმა უკვე აანაზღაურა ზიანი, მას აქვს უკუმოთხოვნის უფლება შემდეგ შემთხვევებში: ა. თუ ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების გამომწვევმა გადამზიდველმა მარტომ უნდა აანაზღაუროს მის მიერ ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი; ბ. თუ ტვირთის დაკარგვა ან მისი დაზიანება გამოწვეულია ორი ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ, თითოეულმა უნდა აანაზღაუროს პასუხისმგებლობის წილის შესაბამისი თანხა; თუკი ამის დადგენა შეუძლებელია, მაშინ თითოეული პასუხს აგებს მიღებულ გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად; გ. როცა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ გადამზიდველს უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, "ბ" ქვეპუნქტში მოცემული	სშ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ასეთი უფლება ისედაც აქვს მოვაჭრეს სახელშეკრულებო ურთიერთობების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე. ამასთანავე, რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გათვალისწინებულია „სამოქალაქო კოდექსის“ გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით.

				პროპორციის მიხედვით უნდა გადაიხადოს ყველა გადამზიდველმა.		
			890.1	გარანტის უფლება, მოითხოვოს პრინციპალისაგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, განისაზღვრება პრინციპალთან გარანტის იმ შეთანხმებით, რომლის შესასრულებლადაც გაიცა გარანტია.		
			890.2	გარანტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო, თუ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.		
5.1	**ვადები** გამყიდველს პასუხისმგებლობა ეკისრება მე- 3 მუხლის შესაბამისად, როდესაც შეუსაბამობა აშკარა ხდება, საქონლის მიწოდებიდან ორი წლის განმავლობაში. თუ შიდასახელმწიფოებრივი	1	21.2	მომხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს მე-17, მე-18 და მე-19 მუხლებით დადგენილი უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი აღმოჩენილია საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემიდან ორი წლის განმავლობაში, ხოლო კომერციული გარანტიის არსებობის შემთხვევაში - მთელი	სშ	

	კანონმდებლობის საფუძველზე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული უფლებები დროშია შეზღუდული, აღნიშნული პერიოდი არ უნდა იყოს ორ წელზე ნაკლები, რაც საქონლის მიწოდების დროიდან აითვლება.			საგარანტიო პერიოდის განმავლობაში და მოვაჭრე ვალდებულია დააკმაყოფილოს მე-16 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი პირობა.		
5.2	წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება განსაზღვრონ, რომ ამ უფლებებით სარგებლობისთვის მომხმარებელმა მოვაჭრეს შეუსაბამობის შესახებ უნდა აცნობოს აღნიშნული შეუსაბამობის დადგენის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას მათ მიერ ამ პუნქტის გამოყენების შესახებ. კომისიამ მონიტორინგი უნდა გაუწიოს წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობის გავლენას მომხმარებლებსა და შიდა ბაზარზე. არაუგვიანეს 2003 წლის 7 იანვრისა, კომისიამ უნდა მოამზადოს ანგარიში წევრი სახელმწიფოების მიერ ამ პუნქტის გამოყენების შესახებ. ანგარიში ქვეყნდება ევროგაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში.				ას	

5.3	თუ სხვაგვარად არ არის დადასტურებული, ნებისმიერი შეუსაბამობა, რომელიც აშკარა ხდება საქონლის მიწოდებიდან 6 თვის განმავლობაში, მიიჩნევა, რომ მიწოდებისას არსებობდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი ვარაუდი არ შეეთავსებასაქონლის ბუნებას ან შეუსაბამობის ხასიათს.	1	21.1	თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი აღმოაჩინა საქონლის მფლობელობაში მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ ასეთი რამ შესაძლებელია საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეზეა. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი აღმოაჩინა საქონლის მფლობელობაში მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ, მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას ეკისრება მომხმარებელს.	სშ	
6.1	**გარანტიები** გარანტია, გარანტიის გამცემისთვის, იურიდიულად სავალდებულოა, საგარანტიო განცხადებასა და მასთან დაკავშირებულ რეკლამირებაში მოცემული პირობების შესაბამისად.	1	20.1	მოვაჭირისთვის სავალდებულოა მის მიერ გაცემული კომერციული გარანტიის, მათ შორის რეკლამაში აღეწრილი პირობების დაცვა.	სშ	
6.2	გარანტია: – აღნიშნავს, რომ მომხმარებელს გააჩნია სამართლებრივი უფლება მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი	1	20.2	კომერციული გარანტია უნდა მოიცავდეს: ა) ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ კომერციული გარანტია არ ზღუდავს კანონისმიერი გარანტიის	სშ	

	კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციას და ასევე, განსაზღვრავს, რომ გარანტია გავლენას ვერ მოახდენს აღნიშნულ უფლებებზე,			პირობებს.		
6.2	– მარტივ, გასაგებ ენაზე აყალიბებს, გარანტიის შინაარსს და გარანტიის ფარგლებში მოთხოვნის წაყენებისთვის აუცილებელ არსებით დეტალებს, კერძოდ, გარანტიის ხანგრძლივობასა და მისი მოქმედების ტერიტორიულ ფარგლებს, ასევე, გარანტიის გამცემის სახელსა და მისამართს.	1	20.2	ბ) მკაფიოდ გაწერილ საგარანტიო პირობებს, მათ შორის გარანტიის ხანგრძლივობასა და მოქმედების ტერიტორიას და გასაჩივრებისთვის საჭირო ინფორმაციას, როგორიცაა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, მოვაჭრის სახელი და მისამართი.	სშ	
6.3	მომხმარებლის მოთხოვნით, გარანტია ხელმისაწვდომი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ან აღიბეჭდოს სხვა, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ, ხანგამძლე მატარებელზე.	1	20.3	მომხმარებლის მოთხოვნით, გარანტია უნდა მიაწოდონ წერილობით ან სხვა მისთვის მისაღები ფორმით.	სშ	
6.4	საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში, წევრმა სახელმწიფომ, რომლის ბაზარზეც გატანილია სამომხმარებლო საქონელი, დამფუძნებელი ხელშეკრულების წესების შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს, რომ გარანტია				ას	

	შედგენილ იქნას ერთ ან მეტ ენაზე, რომლებსაც იგი განსაზღვრავს გაერთიანების სახელმწიფო ენებს შორის.					
6.5	მე-2, მე-3 ან მე-4 პუნქტების მოთხოვნების დარღვევამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქონიოს გავლენა აღნიშნული გარანტიის ნამდვილობაზე , ხოლო მომხმარებელს კვლავ უნდა შეეძლოს დაეყრდნოს გარანტიას და მისი პირობების შესრულება მოითხოვოს.	1	20.4	ამ მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, გავლენას ვერ იქონიებს კომერციული გარანტიის ნამდვილობაზე.	სშ	
7.1	**სავალდებულო ხასიათი** ნებისმიერი სახელშეკრულებო პირობა ან შეთანხმება, რომელიც დადებულია მოვაჭრესთან მანამ, სანამ შეუსაბამობა მისთვის ცნობილი გახდებოდა, რაც პირდაპირ თუ ირიბად უარყოფს ან ზღუდავს წინამდებარე დირექტივიდან გამომდინარე უფლებებს, არ არის სავალდებულო მომხმარებლისთვის, როგორც ეს გათვალისწინებულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ მეორადი მოხმარების საქონელის შემთხვევაში, გამყიდველმა და მომხმარებელმა	1	20.5	ბათილია გარანტიის პირობა, რომელიც ზღუდავს მომხმარებლის კანონით გათვალისწინებულ უფლებებს.	სშ	

	შესაძლებელია შეათანხმონ სახელშეკრულებო პირობები ან შეთანხმებები, რომელთაც გააჩნიათ გამყიდველის პასუხისმგებლობის უფრო მცირე ვადა, ვიდრე მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტშია მოცემული. ასეთი ვადა არ შეიძლება იყოს ერთ წელზე ნაკლები.					
7.2	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა მომხმარებლებს არ ჩამოერთვათ წინამდებარე დირექტივით უზრუნველყოფილი დაცვა, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ირჩევენ არაწევრი სახელმწიფოს კანონმდებლობას იმ კანონმდებლობად, რომელიც ვრცელდება ხელშეკრულებაზე, როდესაც ხელშეკრულება მჭიდროდ არის დაკავშირებული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიასთან.				ას	
8.1	**შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და მინიმალური დაცვა** წინამდებარე დირექტივიდან გამომდინარე უფლებებით სარგებლობა შესაძლებელია სხვა უფლებების შეზღუდვის გარეშე, რომლებიც მომხმარებელმა შესაძლებელია გამოიყენოს სახელშეკრულებო და				ას	

	არასახელშეკრულებო ვალდებულებების მარეგულირებელი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში.					
8.2	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ ან კანონიერ ძალაში შეინარჩუნონ უფრო მკაცრი დებულებები, რომლებიც შეესაბამება დამფუძნებელ ხელშეკრულებას წინამდებარე დირექტივით განსაზღვრულ სფეროში, მომხმარებლის დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით.				ას	
8a.1	**მოთხოვნები ანგარიშგების მიმართ** როდესაც, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წევრი სახელმწიფო იღებს მომხმარებელთა დაცვისთვის უფრო მკაცრ დებულებებს, ვიდრე მე-5 მუხლის 1-3პუნქტებში და მე-7 მუხლის 1-ელ პუნქტშია მოცემული, იგი ამ ფაქტის და ასევე, ნებისმიერი თანმდევი ცვლილებების შესახებ აცნობებს კომისიას.				ას	

8a.2	კომისია უზრუნველყოფს, რომ 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებელთათვის და მოვაჭრეთათვის, მათ შორის, ხელმისაწვდომი იყოს საამისოდ განკუთვნილ ვებგვერდზე.				ას	
8a.3	კომისია 1-ელ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას უგზავნის სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროპარლამენტს. კომისია აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადის დაინტერესებულ მხარეებთან.				ას	
9	წევრი სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს იმისთვის, რომ აცნობონ მომხმარებლებს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში წინამდებარე დირექტივის გადმოტანის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში და სადაც ეს შესაფერისია, ხელი შეუწყონ პროფესიულ ორგანიზაციებს, გააცნონ მომხმარებლებს საკუთარი უფლებები.				ას	

10	დირექტივის 98/27/EC დანართი უნდა შედგეს შემდეგნაირად: 10. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის დირექტივა 1999/44/EC სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის გარკვეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ (ოფიციალური ჟურნალი L 171, 07.07.1999, გვ. 12).				ას	
11.1	**ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანა** წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები არაუგვიანეს 2002 წლის 1 იანვრისა. მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას. წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული ზომების მიღებისას, მათში გათვალისწინებული უნდა იყოს მითითება წინამდებარე დირექტივაზე, ან ოფიციალური გამოქვეყნების დროს, მათ თან უნდა ერთოდეს აღნიშნული მითითება. აღნიშნული მითითების პროცედურა				ას	

	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ.					
11.2	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დებულებები, რომლებსაც ისინი მიიღებენ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.				ას	
12	**განხილვა** კომისიამ, არაუგვიანეს 2006 წლის 7 ივლისისა, უნდა განიხილოს წინამდებარე დირექტივის გამოყენება და ევროპარლამენტსა და საბჭოს წარუდგინოს ანგარიში. ეს ანგარიში მათ შორის უნდა განიხილავდეს მწარმოებლის უშუალო ვალდებულების შემოღების შემთხვევას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, მას უნდა ერთოდეს წინადადებები.				ას	
13	**ძალაში შესვლა** წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის მისი ევროგაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.				ას	
14	ეს დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	